ნომერი: 09/01181861610-60
თარიღი: 05.07.2018 15:07
ვადა: 04.08.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

საქართველოს უზენაესი სასამართლო
მისამართი: ძმ ზუბალაშვილების ქ 32
განცხადების N: ბს-1028-1023(2კ-17) განცხადების თარიღი: 04.07.2018
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

ფელდეგერი: გიორგი ბექაური პირადი ნომერი: 01001097839

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმ საქმეთა პალატის 16.01.18 განჩინება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 7
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: საფოსტო მომსახურებით სარგებლობა

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 09/01181861610-60
05.07.2018 : 15:07
ქ. თბილისი 0160, გ.შარტავას ქ. N7

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ.: 299-62-39 (ქალაქი), 3-13 (შიდა)

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების
გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

№ბს-1028-1023(2კ-17) 4 ივლისი, 2018 წელი
სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს
თბილისი, შარტავას ქ. #7

გეგზავნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 იანვრის განჩინების ასლი.

მოსამართლის თანაშემწე მაკა დარჯანია

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქმე N 330310015001013193

1190981594082

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №ბს-1028-1023(2კ-17) 16 იანვარი, 2018 წელი

ბს-1028-1023(2კ-17) პარუნაშვილი ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობა:
ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მაია ვაჩაძე, ნუგზარ სხირტლაძე

საქმის განხილვის ფორმა -ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორები - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური (მოპასუხეები)

მოწინააღმდეგე მხარეები - ნუგზარ პარუნაშვილი, გურამ გოგია (მოსარჩელეები)

მესამე პირი - შპს „ენ ენდ არ ქონსთრაქშენი“

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება

კასატორების მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ნუგზარ პარუნაშვილმა, გურამ გოგიამ და რუსუდან ლიპარტელიანმა 2015 წლის 19 ივნისს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისი არქიტექტურის სამსახურის მიმართ

და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 „ ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ.N14-ში არსებული მიწის ნაკვეთებისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ განკარგულების, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისი N1297739 „არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ “ ბრძანების, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 ივნისის N1311968 „მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ “ ბრძანების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 14 მაისის N300 „რუსუდან ლიპარტელიანის, ნუგზარ პარუნაშვილისა და გურამ გოგიას ადმინისტრაციული საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ნაწილობრივ განუხილველად დატოვების თაობაზე“ ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს „ ენ ენდ არ ქონსთრაქშენი “.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით ნუგზარ პაპუნაშვილისა და გურამ გოგიას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისი N1129 განკარგულება „ქ. თბილისში, ონიაშვილის ქუჩა N14-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ქ. თბილისში, ონიაშვილის ქუჩა N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.12.040.019) მრავალბინიანინ საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ. დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ნუგზარ პარუნაშვილმა და შპს „ენ ენდ არ ქონსთრაქშენმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ენ ენდ არ ქონსთრაქშენის“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

ნუგზარ პარუნაშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და გაუქმებულ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნუგზარ პარუნაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისის N1297739 ბრძანება „არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ“, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 ივნისის

N1311968 ბრძანება „მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 14 მაისის N300 ბრძანება ნუგზარ პარუნაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ნაწილობრივ განუხილველად დატოვების ნაწილში და დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კოეფიციენტების გაზრდა შესაძლებელია სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო ნაგებობის მშენებლობა გამართლებულია დასახლების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და არქიტექტურული, აგრეთვე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებულ მიზეზებთან (სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით), დასაშვებია კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პროექტის, მშენებლობის ნებართვის გამცემის შესაბამისი სამსახურის და ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე, რომელსაც განკარგულებით ამტკიცებს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი, დასახელებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულებით, ქ. თბილისში, ონიაშვილის ქუჩა N14-ში არსებული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა - კ1=0.6, კ2=3.4.

კასატორი არ ეთანხმება, სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულებით არ არის დასაბუთებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა და განმარტავს, რომ კოეფიციენტის გაზრდის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება თბილისის მერის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

ასევე ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება სპეციალური შეთანხმების გაცემის შესახებ თბილისის მერიის მხრიდან შეფასების საგანი უნდა იყოს და არა გადაწყვეტილების მიღების უპირობო და სავალდებულო საფუძველი, რადგან ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაშიც, ქ. თბილისის მერიამ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების დაცვით მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური შეთანხმების გაცემის შესახებ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

კასატორის მითითებით, სადავო აქტი წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აქტის ბათილად ცნობა, თუ მხარეს აქვს კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა თუ ადმინისტრაციული აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებივ, ან სხვა პირთა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

გარდა ამისა, დამკვეთის მიერ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ იქნა დოკუმენტები, რის შემდეგაც ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისის N1297739 ბრძანების თანახმად, შეთანხმება ქ. თბილისში, შპს „ეწ ენდ არ ქონსთრაქშენის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ასევე, დაევალა დამკვეთს მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული დასკვნის წარდგენა.

ამდენად დამკვეთის მიერ შესრულებულია კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, რაც გამორიცხავს ხსენებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, წარმოადგენს მატერიალური ანდა ფორმალური უკანონობა, რომელიც მისი გამოცემის მომენტში არსებობდა. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, სასამართლოს მიერ სპეციალური ზონალური შეთანხმების ბათილად ცნობა არ ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს.

კასატორის განმარტებით არ არსებობს გარემოება, რომელიც არქიტექტურის სამსახურს სადავო აქტის მიღებისას უნდა გამოეკვლია და არ გამოუკვლევია. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის ბათილად ცნობის ინსტიტუტთან, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ბრალეულად უკანონო ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისიას გადაწყვეტილება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

კასატორი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი არქიტექტურის სამსახური საკასაციო საჩივარში განმარტავს, რომ არაკანონიერია არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულება, რომლის მიხედვითაც საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქალაქ მშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან ბათილად არის ცნობილი სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულება, არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისის N1297739 და 2014 წლის 05 ივნისის N1311968 ბრძანებებს აღარ გააჩნიათ სამართლებრივი საფუძველი, ამიტომ აღნიშნული ბრძანებები თავისთავად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთების ნაწილში, ძირითადი მსჯელობა მიმდინარეობს ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულებაზე, რომლითაც საპროექტო მიწის ნაკვეთს გაეზარდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები და მსჯელობა არ არის იმასთან დაკავშირებით, რატომ უნდა იქნეს ბათილად ცნობილი არქიტექტურის სამსახურის N1297739 და N1311968 ბრძანებები.

სააპელაციო სასამართლო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებით ნაწილში N1297739 და N1311968 ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძვლად უთითებს იმას, რომ ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 19 მაისის N1129 განკარგულების ბათილად ცნობის შემდგომ არქიტექტურის სამსახური მიერ გამოცემული აქტებიც ავტომატურად ბათილად უნდა იქნას ცნობილი, რაც არასწორია.

კასატორის განმარტებით, მერიის განკარგულება არ წარმოედგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიას, რადგან მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამი სტადიით, ესენია: I მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, II არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და III მშენებლობის ნებართვის გაცემა. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, თუ დადგინდება აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონსაწინააღმდეგობა დაუშვებელია მათი ბათილად ცნობა გარდა იმ შეთხვევისა, თუ იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და ეს ზიანი არსებითად არ აღემატება იმ ზიანს, რომელიც შეიძლება მიადგენს აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობით მის ადრესატს.

კასატორის მითითებით, სასამართლოს უნდა ემსჯელა ვის უფრო მეტი ზიანი

მიადგებოდა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისი N1297739 „არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ბრძანების და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 ივნისის N1311968 „მშენებლობის ნებართვო მოწმობის გაცემის შესახებ “ ბრძანების ბათილად ცნობით, აპელანტს, თუ დამკვეთს, რომელმაც აღნიშნული აქტების საფუძველზე განახორციელა სამშენებლო სამუშაოები მშენებლობა დაასრულა და დღეის მდგომარეობით შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაშია მიღებული, ასევე დასადგენია N1297739 და N1311968 ბრძანებების ბათილად ცნობის შემდგომ, როგორ უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქმეში როგორც დამკვეთის, ისე მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნები არ არის ცალსახად უარყოფითი შინაარსის, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო საპროექტო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, კონკრეტული დასკვნები ითვალისწინებდა კონკრეტულ რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო სამშენებლო სამუშაოები, რომ ზიანი არ მიდგომოდა ნუგზარ პარუნაშვილის საკუთრებას, თუმცა აღნიშნული დასკვნები დასაშვებად მიიჩნევდა მშენებლობის განხორციელებას. სააპელაციო სასამართლო დასაბუთებით ნაწილში საერთოდ არ მსჯელობს პირდაპირ და უშუალო ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს ნუგზარ პარუნაშვილის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს, შესაბამისად, აღნიშნული არის საფუძველი იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითალოს კანონდარღვევით მიღებულად სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 394-ე მუხლის ,,ე” ქვეპუნქტის თანახმად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება მიღებულია მოქმედი სამართლის ნორმათა სრული დარღვევით, ასევე გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France*

(dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ იმ პირობებში როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად გაბათილებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული განკარგულება ქალაქ თბილისში ონიაშვილის ქ.№14-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი N 01.10.12.040.019) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ამ საკითხზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ ახალი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებით უნდა იქნეს გამოცემული ქალაქ თბილისში ონიაშვილის ქ.№14- ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.12.040.019) თბილისის არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანება მშენებლობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის საჭიროებას ასაბუთებს შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილი ორგანო. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესში საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმებას უზრუნველყოფენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები. კანონის ეს დანაწესი, გაგებული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებული აქტით არ არის დასაბუთებული ქ. თბილისში, ონიაშვილის ქუჩა №14 - ში, მდებარე მიწის ნაკვეთისთვის ქალაქმშენებლობის პარამეტრების გაზრდის მიზნით წარდგენილი საპროექტო წინადადების განხილვისას რამდენად იქნა დაცული აქტის გამოცემის დროს მოქმედი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები'', აღნიშნულის დაუცველობის შემთხვევაში კი შესაძლოა სახეზე იყოს სხვა პირთა (მოსარჩელე მხარე) კანონიერი უფლებებისა და ინტერესებს არსებითი დარღვევა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა სადავო აქტი გამოსცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 19 მაისის №1129 განკარგულებით გაზრდილი განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) შესაბამისად, რაც შეუძლებელს ხდის ფაქტობრივად მოხდეს მშენებლობის განხორციელება იმ პარამეტრებით, რაც მშენებლობის ნებართვით იქნა დადგენილი, ვინაიდან სადავო მშენებლობის ნებართვაში გამოყენებულია სწორედ ის გაზრდილი კოეფიცინტები, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ორგანოს ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მხარისათვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული გარემოება, განცხადების წარდგენის დროისათვის, არსებობდა თუ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", 24-ე მუხლი ითვალისწინებს კოეფიციენტების გადამეტების შესაძლებლობას, მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში და ყოველი კონკრეტული შემთხვევა საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას, რაც გასაჩივრებული ქ.თბილისის მერის განკარგულებაში არ არის დასაბუთებული, აღნიშნული კი ქმნის სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს _ წარმატების პერსპექტივა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ემუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება;
3. კასატორს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს (ს/ნ 205270053) დაუბრუნდეს 14.11.2017წ. №03478 საგადახდო მოთხოვნით მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 300 (სამასი) ლარის, 70% 210 (ორას ათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №20012290, სახაზინო კოდი №300773150;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ვ. როინიშვილი

მოსამართლეები: მ. ვაჩაძე

ნ. სხირტლაძე

შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

01. 06. 2014 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა ონიაშვილი №14, საკადასტრო კოდით №01.10.12.040.019 მოქალაქე შპს "ენ ენდ არ ქონსთრაქშნ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ერთ სართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟისა და დაპროექტებული ექვს სართულიანი საცხოვრებელი-კომერციული დანიშნულების კორპუსის მშენებლობის პერიოდში ზეგვალენეს შესაძლებლობა მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

2014 წელი

საქართველო შპს "ლილეო" Lileo 404902496 GEORGIA-LILEO LTD

შინაარსი

ქ.თბილისი, ჭუჩა ონიაშვილი №14-ში, შპს "ენ ენდ არ ქონსთრაქშნ"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (450 კვ.მ) დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებულ ერთ სართულიანი საცხოვრებელი შენობის დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობაზე მომიჯნავე ტერიტორიაზე საცხოვრებელი შეობების მიმართ და ასევე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ექვს სართულიანი საცხოვრებელი-კომერციული დანიშნულების კორპუსის მშენებლობის პროცეში სამეზობლო ტერიტორიაზე ზეგავლენის გადაცემის შესაძლებლობა.

აღნიშნული შენობა დაპროექტებულია საკადასტრო საზღვრებში ნუმცერაციის მიხედვით 1/1. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია ღნიშნული ერთ სართულიანი შენობის დემონტაჟი. კონსტრუქციული მახასიათებლების მიხედვით შენობის დემონტაჟი არ საჭიროებს მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენებას. შენობას ესაზღვრება საკადასტრო საზღვრებიდან ორი შენობა, თუმცა სადემონტაჟო სამუშაოებით ზეგავლენის არსებობა გამორიცხულია, ვინაიდან მომიჯნავე შენობები საკმარისი მანძილით არიან დაშორებული სადემონტაჟო შენობიდან.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის, რომლის საძირკვლის ჩაღრმავება და ტიპი დამოკიდებულია გეოლოგიური პირობების მიხედვით, თუმცა საძირკვლის კატეგორია არ აფერხებს მომიჯნავე შენობების მიმართ რაიმე სახის კონსტრუქციულ პირობას ზეგავლენაზე.

შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ პროექტის მიხედვით კორპუსი განთავსებულია დამოუკიდებლად და არ ხდება სხვა შენობა-ნაგებობებზე შეხება, ასევე კონსტრუქციული თვალსაზრისით გამორიცხულია მომიჯნავე სახლეზბე ზეგავლენის გადაცემა, რადგან კატეგორიის მიხედვით საპროექტო შენობის საანგარიშო სქემა არ განეკუთვნება მაღალი ინტენსივობის და დატვირთვების მქონე კონსტრუქციულ შენობას. ასევე ტერიტორიაზე არ ხდება მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, რადგან ერთი მხრიდან საპროექტო ტერიტორიას საზღვარზე ემიჯნება სამეზობლო შენობის კედელი. დაკვირების შედეგად დავადგინეთ რომ აღნიშნული კედელი გამაგრებულია რკინა-ბეტონის საძირკვლით, თუმცა მშენებლობის პროცესში მასზე ზეგავლენის გადაცემა გამორიცხულია და არ ხდება მასთან კონსტრუქციული კავშირი.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი შპს "ენ ენდ არ ქონსთრაქშნ"-ის კუთვნილ არსებულ მიწის ნაკვეთზე ერთ სართულიანი საცხოვრებელი შენობის

დემონტაჟი დასაშვებია და არ გამოიწვევს მომიჯნავე სამეზობლო საზღვრებში არსებული შენობების მიმართ ზეგავლენას. ასევე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული საცხოვრებელი-კომერციული დანიშნულების კორპუსის მშენებლობა დასაშვებია და არ მოახდენს კონსტრუქციული ზეგავლენის გადაცემას ზემოთ აღნიშნული მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი:

